

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- 1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
- 1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- 1.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
- 1.4. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

- 2.1. ენტომოლოგია (2 ვაკანსია-პროფესორი)
- 2.2. მიკრობიოლოგია (1 ვაკანსია-პროფესორი, 1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი)
- 2.3. ინფექციური დაავადებები (ცხოველთა) (1 ვაკანსია-პროფესორი)
- 2.4. ელექტრო-ინჟინერია (1 ვაკანსია- ასოცირებული პროფესორი)
- 2.5. ვეტერინარია (2 ვაკანსია პროფესორი)
- 2.6. მევენახეობა (1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი)
- 2.7. კლასიკური ფილოლოგია და კლასიკური სასცენო ხელოვნების თეორია და ისტორია (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი)

3. განცხადებების მიღება იწარმოებს 2017 წლის 10 მარტიდან - 2017 წლის 14 მარტის ჩათვლით.

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/70381441232446>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2017 წლის 15 მარტიდან - 2017 წლის 21 მარტის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2017 წლის 22 მარტიდან - 2017 წლის 29 მარტის ჩათვლით**.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 3 წლის ვადით.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიდმის საუნივერსიტეტო კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@agruni.edu.ge